

## პროგრამის შინაარსი

### იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტების, საკრავების გამოყენებით;
- ბგერა, ხმოვანების სიძლიერე, რიტმი (ოსტინატო, პუნქტირული რიტმი), ტემპი, მეტრი, რეგისტრი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ინტერვალები ოქტავის ფარგლებში, თანხმოვანება, კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა (კონსონანსი, დისონანსი).

### სიმღერა:

- თანხლებით და მის გარეშე;
- ინდივიდუალურად ანსამბლში და გუნდურად;
- ერთხმიანი და ორხმიანი სიმღერების შესრულება, მაგალითად, "ჩელა", "ქალსა კაბა შეუკერავს", "ცოლი გამიდიდგულდა", "შავლეგო", ვ. წერეთელი - "სულიკო", რ. ლალიძე - "ჩემო კარგო ქვეყანავ", ნ. გაბუნია - "მეორე ლეგენდა", ბ. გელოვანი - "ორი რეზო", ი. გურგულია - "თეთრი გვირილა", "ოდელია, დელა", ფ. შუბერტი - "კალმახი", ჯ. ლენონი, პ. მაკარტნი - "Yellow Submarine", რ. როჯერსი - "Blue Moon", "ედელვაისი" და სხვ.

### კომპოზიცია:

- განწყობილების გადმოცემა – პანტომიმა;
- სცენების გათამაშება.

### მუსიკალური დამწერლობა:

- ნოტების ამოცნობა და ჩაწერა ვიოლინოს, ბანის გასაღებში მცირე, პირველ, მეორე ოქტავაში;
- მუსიკალური ფრაგმენტის გადაწერა;
- მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი, გრძლიობის ნოტები, პაუზები;
- მუსიკალური ჩანაწერის გამოყენება ნაწარმოების დასწავლის დროს.

### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ტონიკა, მყარი, მერყევი საფეხურები;
- დინამიური ნიუანსები: Mezzo Forte, Mezzo Piano;
- შესრულების ხერხები: სტაკატო, ლეგატო;

- კომპოზიტორი, ფოლკლორი, ფოლკლორისტი, მუსიკოლოგი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, ლოტბარი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, კორდე-ბალეტი, ბალერინა, ბალეტის მოცეკვავე, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, არიოზო, რეჩიტატივი, ანსამბლი, დუეტი, ტრიო. კვარტეტი, კვინტეტი, ჟანრი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

### **მუსიკალური ფორმები:**

- რონდო, კუპლეტური ფორმა.

### **მუსიკალური ნაწარმოებები:**

- განსხვავებული ეპოქების ცნობილი ნაწარმოებების მოსმენა, ამოცნობა, შედარება;
- ქართული ხალხური მუსიკის მოსმენა, ამოცნობა.

### **ღონისძიებები:**

- სკოლის კონცერტი;
- კლასის წარმოდგენა, კარნავალი, შეხვედრა-საღამოები;
- ვიქტორინა;
- საჯარო კონცერტზე, სპექტაკლზე დასწრება, ექსკურსია სახლ-მუზეუმში.

### **მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:**

- ინფორმაცია: შექმნის ისტორია, სიუჟეტი, ავტორის პიროვნება;
- განწყობილების ამოცნობა, საუბარი შთაბეჭდილებებზე;
- ხელოვნების დარგების კავშირი ხელოვნების სინთეზურ დარგებში: კინო, თეატრი... ამ დარგებთან კონკრეტული პროფესიების, ადამიანებისა და ნიმუშების დაკავშირება;
- ინფორმაცია ნაწარმოების და ავტორის შესახებ – სიუჟეტი (პროგრამა, ლიბრეტო), ჟანრი, ბიოგრაფიული ცნობები.

### **საკრავები:**

- ამოცნობა ფორმით და ჟღერადობით;
- ხალხური და კლასიკური ინსტრუმენტები, მაგალითად, სტვირი, საზი, ტრომბონი, ორგანი, ალტი და სხვ.

## სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის, XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, გურული "ხასანბეგურა", "დილა", კახური "ალილო", მეგრული "კირიალესა", ქართლ-კახური "გლესავ და გლესავ", საგალობელი "უფალი სუფევს", ავსტრიული ხალხური სიმღერა იოდლით; ებრაული სიმღერა "Hava Nagilah"; ზ. ფალიაშვილი - ფრაგმენტები ოპერიდან "აბესალომ და ეთერი"; ა. მაჭავარიანი - ფრაგმენტები ბალეტიდან "ოტელო"; რ. ლალიძე - საფორტეპიანო პიესა "რონდო-ტოკატა"; ა. ბალანჩივაძე - საფორტეპიანო კონცერტი # 3; ი. ს. ბახი - ტოკატა და ფუგა ორგანისთვის რე მინორი; ყ. ფ. რამო - პიესები კლავესინისათვის "ქათამი"/ "პრინცესა/ "ყბედი ქალი"/ "ჩიტების გადაძახილი"; ა. ვივალდი - "ზაფხული", I ნაწილი, კონცერტების ციკლიდან "წელიწადის დრონი"; ვ. ა. მოცარტი - სიმფონია #40, I ნაწილი; ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო სონატა # 1; ლ. დაკენი - "გუგული"; ჯ. როსინი - ფიგაროსა და დონ ბაზილიოს არიები ოპერიდან "სევილიელი დალაქი", ფ. მენდელსონი - "უსიტყვო სიმღერები", საქორწილო მარში საორკესტრო უვერტიურებიდან "სიზმარი ზაფხულის ღამეს"; ჯ. ვერდი - მარში ოპერიდან "აიდა"; ა. ხაჩატურიანი - "ცეკვა ხმლებით" ბალეტიდან "გაიანე"; ა. რიბნიკოვი - მუსიკა კინოფილმიდან "ბურატინოს თავგადასავალი", რეი ჩარლზი - "ამერიკა" და სხვ.